

499.962.3

ღ-815

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ალექსის ასული ლომია

## ჰიპოთაქსის საკითხები მეგრულში

სპეციალობა 10. 02. 01 – ქართველური ენები

### ავტორეზიუმე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

1998

უფროსულია № 71  
19 05 1998

I. ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელენე ბაბუნაშვილი

საბჭოს ექსპერტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ღლონგი

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იმბებელა ქობალავა  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გურამ კარგოზია

წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P.10.02.C N6 სხდომაზე 1998 წლის "10" თვისს 14<sup>20</sup> სთ-მე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მალღვივი კორპუსი).

ავტორიფერატი დაიგზავნა 1998 წლის 9 მაისს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გ. ვ. ვიბახაშვილი

თემის აქტუალობა. ცნობილია, რომ ქართველურ ენათაგან სამწერლობო ენა მხოლოდ ქართულია. ხოლო სხვა ქართველური ენები "ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან" (ალ. ონიანი). ცოცხალ მეტყველებაში კავშირების დიფერენცირებული სისტემით დადასტურებული ქვეწყობა დიალექტთა შინაგანი განვითარების კანონზომიერებაცაა და არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ზემოქმედების შედეგი, რადგან ზეპირი მეტყველება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი კი არ არის, არამედ ცალკე სისტემაა. ამიტომაც უმწერლობო ენის ჰიპოტაქსის გამოწვევილივითი შესწავლა სამწერლობო თუ სხვა არასამწერლობო ენის მონაცემებთან შედარება-შეპირისპირებით განსაკუთრებით აქტუალურია.

კვლევის მიზანი და ამოცანები. მონათესავე ენათა შედარება ისტორიულ-შედარებითი კვლევის აუცილებელი ელემენტია. ნაშრომის მიზანია მეგრული ჰიპოტაქსის გამოწვევილივითი შესწავლის საფუძველზე დაადგინოს, რა აქვს საერთო მეგრულ ჰიპოტაქსს ქართულ, სვანურ და ლაზურ ჰიპოტაქსთან და რით განსხვავდება მათგან არა მარტო საკავშირებელი სიტყვებისა და კორელატების გამოყენების, არამედ ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით დამოკიდებულ წინადადებათა ტიპების გამოყოფისა და თავისებური ჰიპოტაქსური კონსტრუქციების გამოვლენის თვალსაზრისითაც.

განალიზებული მასალა. საანალიზოდ გამოყენებულია გამოცემული მეგრული ტექსტები: ქართული ხალხური სიტყვიერების (მეგრული ტექსტები) I და II ტომები, მ. ზუბუას მეგრული ტექსტები, ი. ყიფშიძის მეგრული ტექსტები (თან ერთვის მეგრულის გრამატიკას), კ. სამუშიას ქართული ზეპირსიტყვიერება (მეგრული ნიმუშები), რ. შეროზიასა და ო. მეშიშვილის ხალხური სიბრძნის I ტომი (მეგრულ-ლაზური ანდაზები). რიგ შემთხვევაში მაგალითები დამოწმებულია ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტებიდანაც. მონათესავე ქართველური ენების ნიმუშები ძირითადად დამოწმებულია არსებული სამეცნიერო შრომების მიხედვით.

მეგრული მასალის განხილვისას გათვალისწინებულია ამ მასალის ჟანრობრივი თავისებურება.

მეცნიერული სიახლე. ნაშრომში გამოვლენილია საინტერესო

1637